



2025 წლის სექტემბრის თვის  
მაკროეკონომიკური გარემოს

## **მიმოხილვა**

საქართველოს პარლამენტის  
საბიუჯეტო ოფისი

**2025**

ოქტომბერი

# 2025 წლის სექტემბრის თვის მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები\*

რეალური მშპ-ს ზრდის ტემპი

## 6.6%



აგვისტო\*

რეალური მშპ-ს ზრდის ტემპის რვა თვის საშუალო მაჩვენებელი

## 7.9%

2025 წლის სექტემბერში სამომხმარებლო ფასების წლიურმა ინფლაციამ 4.8% შეადგინა, ხოლო საბაზო ინფლაცია 2.1%-ით განისაზღვრა.



იანვარ - აგვისტოში\* საქონლის ექსპორტი 6.7%-ით, ხოლო იმპორტი 9.7%-ით გაიზარდა.

ექსპორტი 4,448. იმპორტი 11,802.7



მლნ დოლარი

აგვისტოში\* ფულადმა გზავნილებმა 321.5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ევროკავშირის ქვეყნები - 46.9%; აშშ - 17.8%; რუსეთი - 12.4%; სხვა ქვეყნები - 23.0%.





აგვისტოში\*, წინა თვესთან შედარებით, დოლარიზაციის მაჩვენებელი, როგორც დებოზიტებზე, ასევე სესხებზე გაიზარდა.



სექტემბერში, წინა თვესთან შედარებით, ლარი აშშ დოლართან 0.2%-ით, ევროსთან მიმართებით კი 1.2%-ით გაუფასურდა.



# 1. რეალური და ფისკალური სექტორი



2025 წლის აგვისტოში\*, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ეკონომიკური ზრდა 6.6%-ის ნიშნულზე დაფიქსირდა.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი შეფასებით, 2025 წლის აგვისტოში\*, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპმა 6.6%, ხოლო იანვარ-აგვისტოს საშუალო მაჩვენებელმა 7.9% შეადგინა.



ეკონომიკურ ზრდაში მნიშვნელოვანი დადებითი წვლილი შეიტანა: ტრანსპორტი და დასაწყობება, ინფორმაცია და კომუნიკაცია, ხელოვნება, გართობა და დასვენება, ვაჭრობა.



დღგ-ის საწარმოთა ბრუნვის მაჩვენებელმა 2025 წლის აგვისტოში\* 15,296.5 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 9.0%-ით აღემატება.

2025 წლის სექტემბერში სამომხმარებლო ფასების წლიურმა ინფლაციამ 4.8% შეადგინა.

სექტემბერში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებით, ინფლაციის დონე 4.8%-ით განისაზღვრა, ანუ მიზნობრივი ინფლაციის 3.0%-იან მაჩვენებელზე შედარებით მაღალი. წლიური ინფლაციის ფორმირებაზე გავლენა იქონია, ძირითადად, ფასების დინამიკამ სურსათსა და უალკოჰოლო სასმელებზე, აგრეთვე - ჯანმრთელობის დაცვაზე, ალკოჰოლურ სასმელებზე, თამბაქოზე და ტრანსპორტზე. სექტემბერში საბაზო ინფლაცია (სურსათის, ენერგომატარებლების, სიგარეტის ფასების გარდა, რომლებიც მაღალი მერყეობით ხასიათდებიან) 2.1%-ით განისაზღვრა.

2025 წლის აგვისტოში მშპ-ის წლიურმა საპროგნოზო დეფლატორმა 4.5% შეადგინა.





**2025 წლის აგვისტოში\* ნაერთი ბიუჯეტის დადებითი მთლიანი სალდო დაფიქსირდა.**

აგვისტოში\*, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები 8.6%-ით, ხოლო ხარჯები 12.6%-ით გაიზარდა. აღნიშნულ პერიოდში ნაერთი ბიუჯეტის დადებითი საოპერაციო სალდო 393.1 მლნ ლარით, ხოლო დადებითი მთლიანი სალდო 8.8 მლნ ლარით განისაზღვრა.

აღსანიშნავია, რომ 2025 წლის აგვისტოში\* საგადასახადო შემოსავლებმა 1,969.8 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 11.8%-ით აჭარბებს. ამავე პერიოდში გაიზარდა ქონების გადასახადი (55.1%-ით), აქციზი (53.6%-ით), საშემოსავლო გადასახადი (10.0%-ით), დღგ (9.6%-ით), იმპორტის გადასახადი (7.8%-ით) და მოგების გადასახადი (2.7%-ით). პირდაპირი გადასახადების წილმა მთლიან გადასახადებში 43.9%, ხოლო არაპირდაპირმა გადასახადებმა 56.1% შეადგინა.


აგვისტოში\*, წინა წლის შესაბამის მონაცემთან შედარებით, არაფინანსური აქტივების შეძენის 27.9%-იანი კლება (154.8 მლნ ლარით ნაკლები) დაფიქსირდა.

**2025 წლის აგვისტოში\*, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ეროვნულ ეკონომიკაზე როგორც ლარში, ასევე უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხები გაიზარდა.**


აგვისტოში\*, წინა წლის აგვისტოსთან მიმართებით, კომერციული ბანკების მიერ ეროვნულ ეკონომიკაზე გაცემულმა სესხებმა 15.3%-ით მოიმატა და 64,447.1 მლნ ლარი შეადგინა. მათ შორის, ლარში გაცემული სესხები 18.1%-ით, ხოლო უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხები 11.5%-ით გაიზარდა. კომერციული ბანკების მიერ გაცემულ სესხებზე დოლარიზაციის მაჩვენებელმა 42.3% შეადგინა. აღსანიშნავია, რომ ეროვნულ ეკონომიკაზე გაცემული სესხების ნახევარზე მეტი (53.7%) შინამეურნეობებზე მოდის (შინამეურნეობებზე გაცემული სესხების 85.0% ფიზიკურ პირებზეა, 15.0% კი ინდემნარმეებზე). შინამეურნეობებზე გაცემული სესხების 37.9% სამომხმარებლო სესხია, ხოლო 62.1% უძრავი ქონებით არის უზრუნველყოფილი.

საქმიანობის სახეების მიხედვით, გაცემულ სესხებში ყველაზე მეტი - 21.6% გაცემულია მშენებლობის დარგში, 20.7% - ვაჭრობის, 16.1% - მრეწველობის, 14.7% - უძრავი ქონებით ოპერაციების, 6.1% - სასტუმროებისა და რესტორნების დარგში.


**შემოსავლები და ხარჯები (მლნ ლარი)**



**სესხები საქმიანობის სახეების მიხედვით (ნაშთები)**



## 2. საგარეო სექტორის ინდიკატორები




2025 წლის იანვარ-აგვისტოში\*, წინა წლის შესაბამის პერიოდთან მიმართებით, გაიზარდა როგორც საქონლის ექსპორტი, ისე იმპორტი.

2025 წლის იანვარ-აგვისტოში\* ექსპორტმა 6.7%-ით, ხოლო იმპორტმა 9.7%-ით მოიმატა, რის შედეგადაც სავაჭრო ბრუნვა (არადეკლარირებული ვაჭრობის გარეშე) 8.8%-ით გაიზარდა და 16,250.8 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ექსპორტის წილი სავაჭრო ბრუნვაში 27.4%-ით განისაზღვრა. უმსხვილესი საექსპორტო ქვეყნებიდან ექსპორტის მნიშვნელოვანი ზრდა აღინიშნა ბულგარეთში (175%), აგრეთვე - უზბეკეთში (56%), ყირგიზეთში (27%), ყაზახეთში (6%), შვეიცარიაში (4%), ჩინეთი (5%), რუსეთში (3%) და სხვა ქვეყნებში. ექსპორტი შემცირდა თურქეთში (35%), სომხეთში (18%), აზერბაიჯანში (3%) და სხვა.


იანვარ-აგვისტოში\* საექსპორტო საქონლის მიხედვით, ზრდა დაფიქსირდა: ძვირფასი ლითონების მადნების (62%), უალკოჰოლო სასმელები (24%), მსუბუქი ავტომობილების (17%), ოქროს (14%), სამკურნალო საშუალებების (9%), ამოტოვანი სასუქების (7%), მინერალური და მტკნარი წყლის (2%) ჯგუფებში. შემცირდა ფეროშენადნობების (38%), ნატურალური ღვინის (16%), სპირტიანი სასმელების (8%) საზღვარგარეთ გატანა.

უმსხვილესი საექსპორტო საქონელი  
(იანვარი - აგვისტო)




2025 წლის იანვარ-აგვისტოში\* ტრანსპორტირების სახეების მიხედვით ექსპორტის უდიდესი ნაწილი - 70.7% საავტომობილო ტრანსპორტით განხორციელდა, 21.5% - საზღვაო, 3.9% - საჰაერო, 3.3% სარკინიგზო ტრანსპორტით. ტრანსპორტირების დანარჩენი (მაგისტრალური მილსადენი, ელექტროგადამცემი ხაზები და სხვა) საშუალებების წილმა მხოლოდ 0.5% შეადგინა.

ექსპორტი ტრანსპორტირების სახეების მიხედვით  
(იანვარი - აგვისტო)




ამავე პერიოდში იმპორტის მნიშვნელოვანი ნაწილი - 43.6% საავტომობილო ტრანსპორტირებით განხორციელდა, 38.1% - საზღვაო, 10.8% - საჰაერო, 5.1% კი სარკინიგზო ტრანსპორტით. ტრანსპორტირების დანარჩენი სახეების წილმა 2.5% შეადგინა.

იმპორტი ტრანსპორტირების სახეების მიხედვით  
(იანვარი - აგვისტო)




იანვარ-აგვისტოში\* საქართველოს ადგილობრივი ექსპორტი 2,014.0 მლნ აშშ დოლარით განისაზღვრა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 3.1%-ით მეტია. აღნიშნულ პერიოდში 10 უმსხვილეს ქვეყანას, სადაც ადგილობრივი ექსპორტი განხორციელდა, წარმოადგენდა: რუსეთი (მთლიანი ადგილობრივი ექსპორტის 22%), თურქეთი (10%), ჩინეთი (9%), ბულგარეთი (7%), სომხეთი (6%), აზერბაიჯანი (5.4%), შვეიცარია (4%), აშშ (3%), ყაზახეთი (3%), უკრაინა (3%).

ფულადი გზავნილები (%)  
ჩარიცხვები, აგვისტო



მთლიანი საერთაშორისო რეზერვები  
(მლნ აშშ დოლარი)



2025 წლის აგვისტოში ფულადი გზავნილები გაიზარდა.

აგვისტოში\*, წინა წლის შესაბამის პერიოდთან მიმართებით, საქართველოში ფულადი გზავნილების ჩარიცხვები 10.7%-ით გაიზარდა და 321.5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. გზავნილების ძირითად წყაროს ევროკავშირის ქვეყნები (144.3 მლნ აშშ დოლარი, გზავნილების მთლიანი ოდენობის 44.9%) და აშშ (59.4 მლნ აშშ დოლარი, 18.4%) წარმოადგენდნენ.


რუსეთიდან გზავნილები 2.9%-ით შემცირდა და 41.3 მლნ აშშ დოლარს გაუტოლდა (წილი 12.9%).

საანალიზო პერიოდში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ფულადი გზავნილების ოდენობა იტალიიდან (53.6 მლნ აშშ დოლარი, წილი 16.6%), აგრეთვე - გერმანიიდან (29.3 მლნ აშშ დოლარი), საბერძნეთიდან (25.1 მლნ აშშ დოლარი), ისრაელიდან (22.4 მლნ აშშ დოლარი), ყირგიზეთიდან (11.2 მლნ აშშ დოლარი), თურქეთიდან (9.4 მლნ აშშ დოლარი), ესპანეთიდან (9.2 მლნ აშშ დოლარი) და სხვა ქვეყნებიდან.

2025 წლის სექტემბერში საერთაშორისო რეზერვებმა 5,428 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

სექტემბერში, საერთაშორისო რეზერვების მოცულობა 5,428 მლნ აშშ დოლარით განისაზღვრა, რაც 2024 წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით, 15.2%-ით, ხოლო წინა თვესთან მიმართებით კი 4.3%-ით გაიზარდა. 2025 წლის სექტემბერში საქართველოს ეროვნულ ბანკს სავალუტო აუქციონზე ოპერაციები არ განუხორციელებია.

რეზერვების ადეკვატურობის შესაფასებლად, როგორც წესი, გამოიყენება 3 თვის იმპორტის ჯრადი. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ბმულო.



### 3. მონეტარული სექტორის ინდიკატორები

2025 წლის აგვისტოში\*, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, მონეტარული ბაზა გაიზარდა.

აგვისტოში\*, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, მონეტარულმა ბაზამ 13.4%-ით მოიმატა. მათ შორის, მიმოქცევაში არსებული ნაღდი ფული 8.8%-ით, ხოლო სხვა დეპოზიტური კორპორაციების მიმართ ვალდებულებები 18.5%-ით გაიზარდა.


ამავე პერიოდში ფულის M2 აგრეგატმა 10.8%-ით მოიმატა, ხოლო M3 აგრეგატის ზრდის ტემპი 13.3%-ს გაუტოლდა. 2025 წლის სექტემბერში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან მიმართებით, სამომხმარებლო ფასების ინფლაციამ 4.8% შეადგინა.

2025 წლის აგვისტოში\*, კომერციული ბანკების მიერ მოზიდულმა დეპოზიტების საერთო მოცულობამ (ნაშთმა) 64,437.9 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 14.8%-ით აღემატება. მათ შორის, ეროვნულ ვალუტაში განთავსებულმა დეპოზიტებმა 49.6% შეადგინა, შესაბამისად, უცხოურ ვალუტაში განთავსებულმა დეპოზიტებმა კი 50.4%.

აგვისტოს\* თვის ბოლოს არსებული მონაცემებით, ეროვნულ ვალუტაში განთავსებული დეპოზიტების 62.9% იურიდიულ პირებს, ხოლო 37.1% ფიზიკურ პირებს ეკუთვნის.


ამავე პერიოდში უცხოურ ვალუტაში განთავსებული დეპოზიტების 65.6% ფიზიკური პირების საკუთრებაა, ხოლო 34.4% იურიდიული პირების მფლობელობაშია.

ფულის მასა და სამომხმარებლო ფასები (%-ლი ცვლილება)




2025 წლის სექტემბერში მთავრობის მიერ ემიტირებულმა სახაზინო ფასიანი ქაღალდების ნომინალურმა ღირებულებამ 10,822.6 მლნ ლარი შეადგინა. მათ შორის: 72.9% კომერციული ბანკების მფლობელობაშია, 11.7% - ეროვნული ბანკის, ხოლო 15.4% სხვა რეზიდენტი და არარეზიდენტი კლიენტების მფლობელობაში (რეზიდენტი - 14.2%, არარეზიდენტი - 1.2%).

სახაზინო ფასიანი ქაღალდები მფლობელების მიხედვით (სექტემბერი)




დეპოზიტები ივლისი



ეროვნულ ვალუტაში განთავსებული დეპოზიტების 53.1% ვადიანი დეპოზიტებია, 23.3% მოთხოვნამდე დეპოზიტები, ხოლო 23.6% მიმდინარე ანგარიშები. უცხოური ვალუტის შემთხვევაში, ყველაზე დიდი წილი ვადიან დეპოზიტებს უკავია (41.4%), შემდეგ - მოთხოვნამდე დეპოზიტებს (34.2%) და მიმდინარე ანგარიშებს (24.3%).

დეპოზიტები და დოლარიზაციის კოეფიციენტი (მლნ ლარი, %)




2025 წლის აგვისტოში\*, წინა თვესთან შედარებით, დოლარიზაციის მაჩვენებელი როგორც დეპოზიტებზე, ასევე სესხებზე გაიზარდა.

აგვისტოში\*, წინა თვესთან მიმართებით, დეპოზიტების დოლარიზაციის მაჩვენებელი 0.19 კპ-ით გაიზარდა და 47.3%-ით განისაზღვრა, სესხებზე დოლარიზაციის მაჩვენებელი კი 0.02 კპ-ით გაიზარდა და 42.3% შეადგინა.


აგვისტოს\* თვეში, წინა თვესთან შედარებით, ეროვნული ვალუტით განთავსებული დეპოზიტები 1.8%-ით, ხოლო უცხოური ვალუტით განთავსებული დეპოზიტების მოცულობა 2.6%-ით გაიზარდა.

სესხები და დოლარიზაციის კოეფიციენტი (მლნ ლარი, %)




2025 წლის აგვისტოში\*, სამომხმარებლო სესხების მოცულობამ 13,644.4 მლნ ლარი შეადგინა, ანუ წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 23.0%-ით მეტი. მათ შორის, გრძელვადიანი სესხების წილი 96.7%-ია, ხოლო მოკლევადიანის - მხოლოდ 3.3%.

სამომხმარებლო სესხები (აგვისტო)



ამავე პერიოდში, უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხების მოცულობამ 43,870.2 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 14.9%-ით აღემატება. აქედან, ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების წილი 49.7%-ია, ხოლო უცხოური ვალუტით - 50.3%.

უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხები (აგვისტო)




აგვისტოს\* ბოლოს არსებული მონაცემებით, რეგიონების მიხედვით, კომერციული ბანკების მიერ ეროვნულ ვალუტაში სესხების 63.9% გაცემულია თბილისში, 7.6% - იმერეთში, 7.3% - აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, 5.0% - კახეთში, 4.7% - ქვემო ქართლში, 4.2% - სამეგრელო-ზემო სვანეთში. სხვა რეგიონებში გაცემული სესხების წილი შედარებით მცირეა.

2025 წლის აგვისტოში,\* წინა თვესთან მიმართებით, საპროცენტო განაკვეთი დეპოზიტებზე 0.11 პპ-ით შემცირდა, ხოლო სესხებზე 0.14 პპ-ით გაიზარდა.


აგვისტოში\*, საბაზრო საპროცენტო განაკვეთმა სესხებზე 13.6% შეადგინა, ხოლო დეპოზიტებზე 6.7%-ით განისაზღვრა. საპროცენტო განაკვეთის სპრედმა (სხვაობა სესხებსა და დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთებს შორის), აგვისტოს მდგომარეობით, 7.0% შეადგინა, 0.59 პპ-ით მეტი წინა წლის აგვისტოსთან შედარებით.

საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის 2025 წლის 10 სექტემბრის გადაწყვეტილებით, რეფინანსირების განაკვეთი უცვლელი დარჩა და კვლავ 8.0% შეადგინა.

საბაზრო საპროცენტო განაკვეთები სესხებსა და დეპოზიტებზე (%)



ლარის გაცვლითი კურსის ინდექსები (ინდექსის ზრდა ნიშნავს ლარის გამყარებას, კლება - გაუფასურებას)



2025 წლის სექტემბერში, წინა თვესთან შედარებით, ლარი როგორც აშშ დოლართან მიმართებით, ასევე ევროს მიმართ გაუფასურდა.

სექტემბერში, წინა თვესთან შედარებით, ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 0.2%-ით, ევროს მიმართ 1.2%-ით გაუფასურდა, ხოლო თურქულ ლირასთან მიმართებით 1.0%-ით გამყარდა. ამავე პერიოდში გამყარდა ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი. რაც შეეხება გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებას, სექტემბერში ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 0.04%-ით გამყარდა, ევროს მიმართ 5.2%-ით გაუფასურდა, ხოლო თურქულ ლირასთან მიმართებით 21.5%-ით გამყარდა.

სექტემბრის თვეში, პერიოდის საშუალო ლარის გაცვლითმა კურსმა აშშ დოლართან მიმართებით 2.71, ევროს მიმართ 3.17, თურქულ ლირასთან მიმართებით კი 0.07 შეადგინა.


## 4. სოციალური სფეროს მიმოხილვა

2025 წლის II\* კვარტალში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებით, დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი გაიზარდა.


2025 წლის II\* კვარტალში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიურმა ნომინალურმა ხელფასმა 2,212.0 ლარი შეადგინა, რაც გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით 10.3%-ით (207.1 ლარით) მეტი, ხოლო წინა კვარტალთან მიმართებით 1.9%-ით (41.9 ლარით) მეტია.

რაც შეეხება დარგების მიხედვით საშუალო თვიური ნომინალური ხელფასის ცვლილებას, 2025 წლის II კვარტალში ყველაზე მაღალი საშუალო თვიური ხელფასი დაფიქსირდა ინფორმაციისა და კომუნიკაციის (4,176.0 ლარის ოდენობით, 5.4% წლიური ზრდა), საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობის (3,732.2 ლარის ოდენობით, ზრდა 2.5%), მშენებლობის (3,467.7 ლარი, ზრდა 17.7%), აგრეთვე პროფესიული, სამეცნიერო-ტექნიკური საქმიანობის დარგებში (2,995.3 ლარი, ზრდა 4.3%).

დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი (ლარი)



სახელმწიფო დანახარჯები განათლებასა და ჯანდაცვაზე (მლნ ლარი)



2025 წლის აგვისტოს\*, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებით, სახელმწიფო დანახარჯები როგორც განათლებაზე, ასევე ჯანდაცვაზე გაიზარდა.


აგვისტოში\* განათლებაზე განეულმა ხარჯებმა (ფუნქციონალურ კლასიფიკაციაზე დაყრდნობით) 220.6 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიური პერიოდის მონაცემთან მიმართებით, 82.1%-ით მეტია. ჯანდაცვაზე განეული დანახარჯები კი 157.9 მლნ ლარით განისაზღვრა, ანუ წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 17.1%-ით მეტი.

## 5. რეგიონული მიმოხილვა


2025 წლის სექტემბერში, რეგიონის ქვეყნებში, თურქეთის გარდა, სამომხმარებლო ფასების ინფლაცია დაახლოებით მსგავსი დინამიკით ხასიათდება.

კერძოდ, საანალიზო პერიოდში თურქეთში წლიურმა ინფლაციამ 33.3%, ხოლო სომხეთში 3.7% შეადგინა. რაც შეეხება აზერბაიჯანსა და რუსეთს, 2025 წლის სექტემბრის მდგომარეობით, სამომხმარებლო ფასები, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, აზერბაიჯანში 4.9%-ით, რუსეთში კი 8.1%-ით შემცირდა.

გაცვლითი კურსის წლიური ცვლილება სექტემბერი



წლიური ინფლაცია სექტემბერი



2025 წლის სექტემბრის თვეში, რეგიონის ქვეყნების ვალუტების გაცვლითი კურსები, აშშ დოლართან მიმართებაში, თურქული ლირისა და აზერბაიჯანული დრამის გარდა გამყარდა.

კერძოდ, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, სექტემბერში აშშ დოლართან მიმართებით თურქული ლირა 17.7%-ით, აზერბაიჯანული მანათი კი 0.02%-ით გაუფასურდა, რუსული რუბლი 10.0%-ით, სომხური დრამი კი 1.3%-ით გამყარდა.

## ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების შემაჯამებელი ცხრილები

	სექ 24	ოქტ 24	ნოვ 24	დეკ 24	იან 25	თებ 25	მარ 25	აპრ 25	მაი 25	ივნ 25	ივლ 25	აგვ 25	სექ 25
მშპ-ს ზრდის ტემპი (%)	8.3	11.0	7.5	6.7	11.1	7.7	9.0	7.5	7.5	6.3	6.5	6.6	
დღგ-ს ბრუნვების ზრდის ტემპი (%)	11.6	14.7	10.1	10.1	14.7	8.7	10.8	9.4	13.0	8.7	9.2	9.0	
ინფლაცია (%)	0.6	0.3	1.3	1.9	2.0	2.4	3.5	3.4	3.5	4.0	4.3	4.6	4.8
მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი (%)	8.00	8.00	8.00	8.00	8.00	8.00	8.00	8.00	8.00	8.00	8.00	8.00	8.00
დეპოზიტების დოლარიზაცია (%)	0.46	0.47	0.49	0.50	0.49	0.51	0.50	0.49	0.49	0.48	0.47	0.47	
სესხების დოლარიზაცია (%)	0.44	0.43	0.43	0.43	0.44	0.43	0.43	0.43	0.43	0.43	0.42	0.42	
გაცვლითი კურსი (ლარი)	2.71	2.73	2.74	2.81	2.84	2.82	2.78	2.75	2.74	2.73	2.71	2.70	2.71
გზავნილები (ათასი აშშ დოლარი)	283,385	281,060	266,696	285,395	242,440	252,282	291,863	295,541	317,421	315,507	336,988	321,548.3	
ექსპორტი (მლნ აშშ დოლარი)	616	682	543	549	404	432	562	617	580	640	610	603	
იმპორტი (მლნ აშშ დოლარი)	1,444	1,506	1,476	1,699	1,702	1,231	1,514	1,514	1,463	1,422	1,465	1,355	
სავაჭრო ბალანსი (მლნ აშშ დოლარი)	-828.5	-824.4	-933.3	-1,149.3	-1,297.9	-799.3	-951.9	-897.6	-883.3	-781.5	-854.2	-752.4	
საერთაშორისო რეზერვები (მლნ აშშ დოლარი)	4,712	4,085	4,124	4,448	4,430	4,234	4,311	4,518	4,585	4,688	5,020	5,204	5,428
შემოსავლები (მლნ ლარი)	2,216	2,011	2,003	2,598	2,213	1,956	2,372	2,059	2,819	2,609	2,387	2,118	
მიმდინარე ხარჯები (მლნ ლარი)	1,599	1,937	1,721	2,648	1,932	1,851	1,955	1,940	1,872	2,000	2,252	1,724	
კაპიტალური ხარჯები (მლნ ლარი)	594	567	456	1,147	392	380	406	397	332	454	317	400	

ზრდა
  კლება
  ცვლილება < 1%


ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების შედარება გასული წლის შესაბამისი თვის ანალოგიურ მონაცემებთან

რეალური სექტორი	მშპ-ს ზრდის ტემპი	დღგ-ს ბრუნვების ზრდის ტემპი	ინფლაცია	მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი	დეპოზიტების დოლარიზაცია	სესხების დოლარიზაცია	გაცვლითი კურსი	გზავნილები	ექსპორტი	იმპორტი	სავაჭრო ბალანსი	საერთაშორისო რეზერვები	შემოსავლები	მიმდინარე ხარჯები	კაპიტალური ხარჯები	
რეალური სექტორი	სექ 24	ოქტ 24	ნოვ 24	დეკ 24	იან 25	თებ 25	მარ 25	აპრ 25	მაის 25	ივნ 25	ივლ 25	აგვ 25	სექ 25			
მონეტარული სექტორი																
სავაჭრო სექტორი																
ფისკალური სექტორი																

ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების შედარება წინა თვის ანალოგიურ მონაცემებთან

რეალური სექტორი	მშპ-ს ზრდის ტემპი	დღგ-ს ბრუნვების ზრდის ტემპი	ინფლაცია	მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი	დეპოზიტების დოლარიზაცია	სესხების დოლარიზაცია	გაცვლითი კურსი	გზავნილები	ექსპორტი	იმპორტი	სავაჭრო ბალანსი	საერთაშორისო რეზერვები	შემოსავლები	მიმდინარე ხარჯები	კაპიტალური ხარჯები	
რეალური სექტორი	სექ 24	ოქტ 24	ნოვ 24	დეკ 24	იან 25	თებ 25	მარ 25	აპრ 25	მაის 25	ივნ 25	ივლ 25	აგვ 25	სექ 25			
მონეტარული სექტორი																
სავაჭრო სექტორი																
ფისკალური სექტორი																

დოკუმენტი ინტერაქტიულ ფორმატში  
შეგიძლიათ იხილოთ



ინტერაქტიული სტატისტიკა (ინფოგრაფიკები)  
შეგიძლიათ იხილოთ

